ტესტი სტუდენტების საგრანტო კონკურსისათვის

ტესტი შედგება სამი ნაწილისაგან:

1. **წაკითხულის გააზრება** – 21 ტესტური დავალება.
2. **ლოგიკური მსჯელობა** – 14 ტესტური დავალება.
3. **რაოდენობრივი მსჯელობა** – 7 ტესტური დავალება.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.
თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.
არასწორი პასუხისათვის აკლდება 0, 2 ქულა (ანუ იწერება -0, 2 ქულა).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 42.
ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 2 საათი და 35 წუთი. ტესტის ნაწილების შესრულების თანმიმდევრობას არა აქვს მნიშვნელობა.

გისურვებთ წარმატებას!

I ვარიანტი

წაკითხულის გააზრება

21 შეკითხვა

| | | |

ტექსტი №1

დისკრიმინაცია (ლათ. discriminat – განსხვავებული) გულისხმობს ინდივიდებისა და ცალკეული ჯგუფების მიმართ უსამართლო, მიკერძოებულ მოპყრობას გარკვეული ნიშნის მიხედვით (მაგალითად, რელიგიური, რასობრივი, ეთნიკური, ასაკობრივი ან სხვ.), მათთვის ისეთი შესაძლებლობების შეზღუდვას, რომლებიც ხელმისაწვდომია სხვა ჯგუფებისათვის. დისკრიმინაციული ქცევის საფუძველს ქმნის ისეთი სტერეოტიპების, ნორმებისა და ღირებულებების ერთობლიობა, რომლებიც თითქოსდა ამართლებს რომელიმე ერთი ჯგუფის დომინირებას სხვა ჯგუფების წარმომადგენლებზე.

სიტყვა „დისკრიმინაცია“ XVII საუკუნის დასაწყისში დამკვიდრდა ინგლისურ ენაში. ამერიკის სამოქალაქო ომის პერიოდში (1861–1865 წწ.) ტერმინი „დისკრიმინაცია“ გახდა ინდივიდის მიმართ რასობრივი ნიშნით არამართებული მოპყრობის აღმნიშვნელი. ამ ომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენდა სწორედ მონათმფლობელობის გაფართოებისა თუ გაუქმების საკითხი. ეს ტერმინი მოგვიანებით გავრცელდა სხვა სოციალურად არასასურველი ჯგუფებისა და კატეგორიების წარმომადგენლებზეც.

მიუხედავად იმისა, რომ არაერთი საერთაშორისო თუ ადგილობრივი კანონით დისკრიმინაცია ადამიანის უფლებების დარღვევად არის მიჩნეული, დისკრიმინაციული პოლიტიკა, იდეები, კანონები თუ პრაქტიკა ვლინდება ყველგან, მთელ მსოფლიოში, სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების არაერთ სფეროში სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. შესაბამისად, მეცნიერები და უფლებადამცველები განასხვავებენ უსამართლო მოპყრობის მრავალ ფორმას: კლასობრივს, ასაკობრივს, ენობრივს, რელიგიურს, რასობრივს, ეთნიკურს, გენდერულსა და სხვ. მაგალითად, **ენგელის** მიერ აშშ-ში ჩატარებული კვლევის მიხედვით, დასაქმებულთა 91%-მა განიცადა სხვადასხვა სახის დისკრიმინაციული მოპყრობა სამსახურში; ნაწილმა ასევე აღნიშნა, რომ დისკრიმინაცია განიცადა უკვე გასაუბრების ეტაპზე, მათ შორის რასობრივი ნიშნით – 40%-მა, ასაკობრივი ნიშნით – 50%-მა და სხვ.

ტექსტის გაგრძელება ->

| | | |

მსოფლიოს მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს **კლასობრივი დისკრიმინაცია** („კლასიზმი“), რომელიც გულისხმობს დაბალი სოციალური კლასისადმი არასათანადო მოპყრობას, ასევე, ქვედა კლასის ხარჯზე ზედა ფენის სარგებელსა და უპირატესობას. აღსანიშნავია **კასტური დისკრიმინაციაც**, რომელიც ძირითადად გავრცელებულია აფრიკისა და აზიის ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ. ინდოეთი, პაკისტანი, ნეპალი, იაპონია და სხვ.). კასტა (პორტუგალ. casta – წარმომავლობა დაბადებით, ჯიში) არის იერარქიულ, სოციალურ ფენებად დაყოფილი ჯგუფების ზოგადი სახელი, რომლებშიც ჯგუფების (კასტების) უფლებები, სტატუსი და საქმიანობის ფორმები მკვეთრად არის გამიჯნული. კასტებს ახასიათებს ენდოგამია – ქორწინება მხოლოდ საკუთარი სოციალური ჯგუფის (ტომის, კასტის, კლანის და ა. შ.) ფარგლებში, ასევე პროფესიის არჩევის შეზღუდვა. კასტებად დაყოფას ხანგრძლივი ისტორია აქვს; მაგალითად, ინდოეთში ეს პრაქტიკა ჯერ კიდევ უძველეს დროში დამკვიდრდა და საუკუნეების მანძილზე მკაცრად იყო დაცული. დაბალი კასტის წარმომადგენლებს არ ჰქონდათ განათლების მიღების საშუალება და უფლება, ძირითადად შავ სამუშაოს ასრულებდნენ და ყველაზე ღარიბ ფენას წარმოადგენდნენ. XX საუკუნის დასაწყისში ინდოეთში დაიწყო მოძრაობა კასტების თანასწორობის მოთხოვნით და 1950 წელს დამოუკიდებელი ინდოეთის კონსტიტუციამ აღიარა კასტების სამართლებრივი თანასწორობა; დაბალი კასტისათვის გამოიყო ადგილები სახელმწიფო სტრუქტურებში, პარლამენტსა და სასწავლო დაწესებულებებში. დღეს კასტური დაყოფა ინდოეთის დიდ ქალაქებში მიუღებელ, უხერხულ ნორმად მიიჩნევა, თუმცა რეგიონებში მას ტრადიციულად ისევ იცავენ, და არა მხოლოდ ინდოეთში. საერთაშორისო ორგანიზაციების ბოლოდროინდელი მონაცემებით, კასტურ დისკრიმინაციას განიცდის 200 მილიონზე მეტი ადამიანი მსოფლიოში და მისი შედეგები ყველაზე მძიმედ აისახება ინდოეთსა და პაკისტანში ყველაზე დაბალი კასტის წარმომადგენლებზე – დალიტებზე (სანსკრ. – გატეხილი, დაზიანებული, დანაწევრებული). დალიტებს, იგივე „ჩაგრულებს“, სხვა სახელსაც – „ხელშეუხებლებს“ უწოდებდნენ, თუმცა ეს ბოლო სახელდება კანონით აიკრძალა ინდოეთში 1949 წელს, ხოლო პაკისტანში – 1953 წელს.

ტექსტის გაგრძელება ->

| | | |

ასაკობრივი დისკრიმინაცია, ანუ „ეიჯიზმი“ (ინგლ. age – ასაკი), წარმოადგენს არასასურველ მოპყრობასა და სტერეოტიპიზაციას ასაკის მიხედვით და უფრო ხშირად ვლინდება ასაკოვანთა მიმართ. კვლევების მიხედვით, ასაკობრივი დისკრიმინაცია ხშირია სამსახურში აყვანის დროს. მაგალითად, ბრიტანელი მეცნიერის, **აბრამსის** კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 29%-მა განაცხადა, რომ განიცადა დისკრიმინაცია ხანდაზმულობის გამო სამუშაოს ძიების პროცესში. თუმცა ეიჯიზმი ზოგადად ახალგაზრდების მიმართაც ვლინდება და გულისხმობს გარკვეული უფლებებისა და პრივილეგიების შეზღუდვას, რომელიც თავისთავად აქვთ მინიჭებული ასაკით უფროსებს, მაგალითად, ხმის მიცემისა თუ პოლიტიკურ თანამდებობაზე კენჭისყრის უფლება.

სქესის ნიშნით დისკრიმინაცია („სექსიზმი“) წარმოადგენს უსამართლო მოპყრობას სქესის ნიშნის მიხედვით, რომელიც ეფუძნება რწმენას, რომ ქალისა და კაცის უნარები და შესაბამისად, მათი როლები, პასუხისმგებლობები, უფლებები განსხვავებულია. ამასთანავე, ერთი სქესის, უფრო ხშირად, მამაკაცის, უფლებები აღემატება მეორე სქესის უფლებებს. როგორც წესი, ეს სტერეოტიპები მომდინარეობს გარკვეული ტრადიციული წეს-ჩვეულებებიდან და ნორმებიდან. მაგალითად, ოჯახში ქალიშვილს ნაკლები უფლება აქვს მშობლების ქონებაზე, ვიდრე ვაჟს და სხვ. ამ უთანასწორობის უკიდურესმა გამოვლენამ შესაძლოა ძალადობის ფორმაც მიიღოს, მაგრამ დღეს მრავალ ქვეყანაში საზოგადოებრივ დონეზე დისკრიმინაცია ძირითადად ვლინდება სამუშაო ადგილზე; ერთი და იმავე სამუშაოსათვის ქალები უფრო დაბალ ანაზღაურებას იღებენ, ვიდრე კაცები; ქალებისათვის უფრო რთულია კარიერული წინსვლა, ვიდრე კაცებისათვის და ა. შ.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები ცდილობენ უსამართლობის გამოსასწორებლად – დისკრიმინაციის მსხვერპლთა დასაცავად – მიიღონ გარკვეული კანონები და ზომები, მაგალითად, დააწესონ რიგი შეღავათები უმცირესობებისათვის. ასეთია კვოტების სისტემა, რომელიც გულისხმობს სამთავრობო, პოლიტიკურ თუ საგანმანათლებლო ინსტიტუციებში ადგილების გარკვეული რაოდენობის გამოყოფას კონკრეტული ჯგუფის წევრებისათვის. ამას **„რევერსულ“** ან **„პოზიტიურ“** დისკრიმინაციას უწოდებენ. ტერმინი „პოზიტიური დისკრიმინაცია“ პირველად გამოიყენეს აშშ-ში, 1961 წელს შავკანიანთა უფლებების დასაცავად გამოცემულ დადგენილებაში, რომელიც ასევე ითვალისწინებდა მათთვის კვოტების გამოყოფას სხვადასხვა სფეროში. პოზიტიურ დისკრიმინაციას ჰყავს კრიტიკოსებიც, რომლებსაც ის მიაჩნიათ დომინანტი ჯგუფების უფლებების ხელყოფად. ამასთანავე, მათი აზრით, რევერსული დისკრიმინაცია უბიძგებს ჩაგრულებს, გააგრძელონ პოზიციონირება „დაუცველის“ როლიდან მაშინაც კი, როცა ისინი არ იჩაგრებიან.

| | | |

1. ტექსტის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელი გამოხატავს უფრო ზუსტად დისკრიმინაციის არსს?

(ა) დაჩაგვრა რასობრივი ან კლასობრივი ნიშნით.

(ბ) ადამიანის შეურაცხყოფა, დამცირება.

(გ) ადამიანის მიმართ ზოგადად უსამართლო მოპყრობა.

(დ) უთანასწორო მოპყრობა გარკვეული ნიშნის მიხედვით.

(ე) ადამიანის მიმართ არასამართლებრივი მოპყრობა.

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	№2	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42

2. დისკრიმინაციის შესახებ გამოთქმული მოსაზრებებიდან რომელია მართებული?

(ა) ტერმინი „დისკრიმინაცია“ თანამედროვე გაგებით დამკვიდრდა XVII საუკუნის დასაწყისში.

(ბ) ამერიკის სამოქალაქო ომის პერიოდში „დისკრიმინაცია“ უსამართლო მოპყრობის უნივერსალური აღმნიშვნელი ტერმინი იყო.

(გ) ლათინური სიტყვა discriminat ნიშნავს ჩაგვრას.

(დ) დღეს „დისკრიმინაცია“ ფართო გაგებით ნიშნავს სოციალურ ფენებს შორის არსებული განსხვავებების გარჩევის უნარს.

(ე) XIX საუკუნის 60-იან წლებში ამერიკაში „დისკრიმინაცია“ ძირითადად აღნიშნავდა რასობრივ ჩაგვრას.

| | | |

3. ტექსტის მიხედვით, რომელი განმარტებაა მართებული?

(ა) „კლასიზმი“ გულისხმობს ადამიანის უფლებების შელახვას სოციალური ფენისადმი კუთვნილების ნიშნით.

(ბ) „ეიჯიზმი“ ნიშნავს ხანდაზმულთა უფლებების შელახვას ასაკობრივი ნიშნით.

(გ) ტერმინი „პოზიტიური დისკრიმინაცია“ გულისხმობს მხოლოდ შავკანიანი მოსახლეობის უფლებების დაცვას.

(დ) „დალიტი“ სანსკრიტზე ნიშნავს „ხელშეუხებელს“.

(ე) „ენდოგამია“ ნიშნავს ქორწინებას სხვადასხვა კასტის წარმომადგენელთა შორის.

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	№2	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42

4. წარმოდგენილი დასკვნებიდან რომელი გამომდინარეობს ტექსტიდან?

(ა) დისკრიმინაციის ფორმების მრავალფეროვნება ძირითადად იმითაა განპირობებული, რომ ის გავრცელებულია მთელ მსოფლიოში.

(ბ) დისკრიმინაციული პრაქტიკის ძირითად წინაპირობას ქმნის საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპებისა და პოლიტიკის ერთობლიობა.

(გ) კლასიზმი უფრო მეტად არის გავრცელებული აფრიკის ქვეყნებში, ვიდრე მსოფლიოს დანარჩენ ნაწილში.

(დ) დისკრიმინაციის ხარისხი უფრო მაღალია დასაქმების სფეროში, ვიდრე განათლების სფეროში.

(ე) კასტურ დისკრიმინაციას სტატისტიკურად უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს, ვიდრე კლასიზმს.

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	№2	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42

5. ტექსტში მოყვანილი კვლევების შესახებ გამოთქმული მოსაზრებებიდან რომელია მართებული?

(ა) კვლევების მიხედვით, ადამიანების 91%-მა ცხოვრებაში ერთხელ მაინც განიცადა დისკრიმინაცია.

(ბ) სამსახურის ძიების პროცესში ეიჯიზმი უფრო მეტად ვლინდება დიდ ბრიტანეთში, ვიდრე აშშ-ში.

(გ) აშშ-ში შავკანიანთა დისკრიმინაცია უფრო მაღალია, ვიდრე დისკრიმინაცია სქესის ნიშნის მიხედვით.

(დ) აბრამსის კვლევები გვაწვდის სტატისტიკურ ინფორმაციას დიდ ბრიტანეთში ხანდაზმული და ახალგაზრდა ასაკის ინდივიდების დისკრიმინაციის შესახებ.

(ე) ენგელის კვლევები გვაწვდის ინფორმაციას აშშ-ში დასაქმებასთან დაკავშირებული დისკრიმინაციის შესახებ.

6. კასტური დისკრიმინაციის შესახებ გამოთქმული მოსაზრებებიდან რომელია მართებული?

(ა) კლასიზმი პრაქტიკაში იგივეა, რაც კასტური ნიშნით დისკრიმინაცია.

(ბ) კასტური დისკრიმინაცია გავრცელებულია მსოფლიოს უდიდეს ნაწილში.

(გ) კასტური დისკრიმინაციის მქონე ქვეყნებში ამ პრაქტიკას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს.

(დ) კასტური დისკრიმინაცია ინდოეთში გაუქმდა 1949 წელს, ხოლო პაკისტანში – 1953 წელს.

(ე) საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების თანახმად, კასტურ დისკრიმინაციას ინდოეთში განიცდის 200 მილიონ ადამიანზე მეტი.

| | | |

7. ჩამოთვლილთაგან რომელი <u>არ წარმოადგენს</u> სქესის ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციის მაგალითს?

(ა) ქალებს უფრო იშვიათად ნიშნავენ მაღალ თანამდებობებზე, ვიდრე მამაკაცებს.

(ბ) ქალებს ნაკლებად ირჩევენ პარლამენტში, ვიდრე მამაკაცებს.

(გ) ერთი და იმავე სამუშაოსათვის მამაკაცები უფრო მაღალ ანაზღაურებას იღებენ, ვიდრე ქალები.

(დ) მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში სკოლის პედაგოგები ძირითადად ქალები არიან.

(ე) მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მშობლები მემკვიდრეობის ძირითად ნაწილს ვაჟებს უტოვებენ.

| | | |

8. პოზიტიური დისკრიმინაციის შესახებ გამოთქმული მოსაზრებებიდან რომელი დასტურდება ტექსტში?

პოზიტიური დისკრიმინაცია:

(ა) საერთაშორისო ორგანიზაციების სტანდარტების მიხედვით, წარმოადგენს დომინანტი სოციალური ჯგუფების უფლებების შელახვას.

(ბ) გამოიყენეს ჯერ კიდევ 1950 წელს ინდოეთში დაბალი კასტების წარმომადგენელთა უფლებების დაცვის მექანიზმად.

(გ) აშშ-ში ნიშნავს შავკანიანი მოსახლეობის უფლებების დაცვას.

(დ) არის ნეგატიური, იგივე „რევერსული“ დისკრიმინაციის საპირისპირო მოვლენა.

(ე) საყოველთაოდ არის აღიარებული, როგორც დისკრიმინაციის აღმოფხვრის სავალდებულო მექანიზმი.

| | | |

9. რატომ აფასებენ პოზიტიურ დისკრიმინაციას უარყოფითად მისი მოწინააღმდეგეები?

იმიტომ, რომ მათი აზრით, პოზიტიური დისკრიმინაცია გულისხმობს:

I. მხოლოდ შავკანიანთა უფლებების დაცვას.
II. დომინანტი ჯგუფების უფლებების ხელყოფას.
III. კასტების გათანაბრებას.
IV. დაუცველი ჯგუფების პასიურობის წახალისებას.

ამათგან მართებულია:

(ა) მხოლოდ I და II.

(ბ) მხოლოდ I და III.

(გ) მხოლოდ II და III.

(დ) მხოლოდ II და IV.

(ე) მხოლოდ III და IV.

| | | |

10. ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ტექსტიდან?

(ა) ტერმინი „პოზიტიური დისკრიმინაცია“ პირველად აშშ-ში გამოიყენეს.

(ბ) ამერიკის სამოქალაქო ომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენდა კლასობრივი დისკრიმინაციის სხვადასხვაგვარი ხედვა.

(გ) რასობრივი დისკრიმინაცია ძირითადად აშშ-ში არის გავრცელებული, ხოლო კასტური – მხოლოდ ინდოეთში.

(დ) კასტური განსხვავებები ბიოლოგიურად არის განპირობებული.

(ე) კვოტების სისტემა დისკრიმინაციის დასაძლევად პირველად გასული საუკუნის 60-იან წლებში აშშ-ში გამოიყენეს.

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	№2	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42

ტექსტი №2

I ანტიკურ სამყაროში ქალისადმი დამოკიდებულების საკითხი საკმაოდ კარგადაა შესწავლილი. სქესთა თანაარსებობისა და ურთიერთდაპირისპირების პრობლემა მთელი სისავსითა და მრავალმხრივობით ძველ ბერძენთა მხატვრულ აზროვნებაში იჩენს თავს.

II ქალის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების საკითხი საყურადღებოა არა მხოლოდ ჰუმანიტარული აზროვნების განვითარების თვალსაზრისით, არამედ სხვა ასპექტითაც: კერძოდ, როგორ და რამდენად არის ასახული სინამდვილე მხატვრულ აზროვნებაში. აქ საკითხი ორგვარად დგას:

III (ა) რამდენად ასახავს მხატვრულ ნაწარმოებში წარმოდგენილი დამოკიდებულება ქალებისადმი რეალურ სინამდვილეს, ანუ თანადროული საზოგადოების დამოკიდებულებას ამ საკითხის მიმართ? რამდენად იზიარებს ავტორი „მასობრივ მორალურ ცნობიერებაში“ დამკვიდრებულ აზრს ქალის შესახებ?

IV (ბ) დასაშვებია ისიც, რომ ავტორი მშვენივრად იცნობს ქალთა სქესის მიმართ ტრადიციულ შეხედულებას, თუმცა ის სხვაგვარად აზროვნებს, წინ უსწრებს თანამედროვეთა პოპულისტურ მორალს და თავისი შემოქმედებით დიდ ნაბიჯს დგამს წინ ქალის ღირსების აღიარებისა და საზოგადოდ, ჰუმანიტარული აზრის განვითარების გზაზე.

V ძველი ბერძნული ლიტერატურის პირველ ძეგლში – ჰომეროსის „ილიადაში“ (ძვ. წ. VIII ს.) – წარმოდგენილია ე. წ. „მარტივი ტომობრივი მონარქია“ მეომარი არისტოკრატიით. პოემაში დახატულია „დიდი ოჯახი“, რომელიც შედგება მრავალი წევრისაგან. ესენია: ცოლი, ქმარი, ქმრის საყვარლები, მათი შვილები, ახლობლები. ქალები განცალკევებით დგანან მეომარ მამაკაცთა ჯგუფისაგან. მემკვიდრის ყოლა ამ საზოგადოებაში ცოლის პრიორიტეტი არ არის, გვარის გამგრძელებელი საყვარლისაგან გაჩენილი შვილიც შეიძლება იყოს. ქალის იურიდიული სტატუსი ამ დროს ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული, შესაბამისად, ცოლ-ქმრის ურთიერთობების ნორმებიც მკვეთრად არ არის განსაზღვრული. ქალის მორალური სახის მიმართ დამოკიდებულებაც გაცილებით ლმობიერია, ვიდრე მომდევნო საუკუნეებში. ქმრის მოღალატე ქალები საზოგადოებაში არ მოსწონთ, თუმცა არ არის გამოკვეთილი სავალდებულო მორალური ნორმა, რომლის დარღვევაც კანონით შეიძლება დაისაჯოს. „ილიადაში“ ვხვდებით ასევე ინდივიდუალურ, „პატარა ოჯახს“, რომელიც სამი წევრისაგან შედგება – დედა, მამა და შვილი. როგორც ჩანს, ოჯახის ეს ტიპი იმ დროისათვის ჩანასახის სტადიაშია, მაგრამ შემდგომში ეს „პატარა ოჯახი“ იქცევა პოლისური საზოგადოების საყრდენად.

ტექსტის გაგრძელება ->

| | | |

VI ლიტერატურული წყაროების ხედვით, ძვ. წ. VII საუკუნეში „პატარა ოჯახი“ უკვე ჩამოყალიბებული ჩანს. აქ ვეღარ შეხვდებით ქმრის საყვარლებს, მათ შვილებსა თუ ახლობლებს. შეცვლილ საზოგადოებრივ სტრუქტურაში იცვლება მამაკაცის ფუნქციაც. ის აღარ არის უბრალოდ მეომარი, არამედ უკვე ოჯახის მეთაური, წარმმართველია, ცოლი კი – ოჯახის მომვლელი. ოჯახის მატერიალური წინსვლა დიდად არის დამოკიდებული ცოლის სიმარჯვესა და ოჯახური საქმეების სწორად გაძღოლის უნარზე. მეტად მნიშვნელოვანი ხდება ქალის დედობრივი ფუნქციაც. ის თუ ვერ გააჩენს მემკვიდრეს, ოჯახი ვერ შეინარჩუნებს მიწაზე მემკვიდრეობის უფლებას. ქალის როლი ამ თვალსაზრისით აშკარად მაღლდება, თუმცა ერთმნიშვნელოვნად ბატონობს აზრი, რომ ქალი მამაკაცზე სუსტია ფიზიკურად და გონებრივი განვითარების თვალსაზრისითაც უფრო დაბალ საფეხურზე დგას. ფიზიკური სისუსტისა და არასრულყოფილი ინტელექტიდან მომდინარეობს ქალის მორალური არასრულყოფილება, მისი ხასიათის მანკიერი შტრიხები.

VII ათენელმა კანონმდებელმა სოლონმა (ძვ. წ. VI ს.) იურიდიულად გააფორმა ქალის, როგორც დედისა და ცოლის სოციალური სტატუსი. ძველი ბერძნები მიიჩნევდნენ, რომ ქალის მიერ მოვალეობის ღირსეულად აღსრულება მნიშვნელოვანი იყო პოლისის წარმატებისა და წინსვლისათვის. მაგრამ გაფორმდა თუ არა ქალის სოციალური სტატუსი, მაშინვე სოლონის რეფორმითვე დაკანონდა ქალის დაქვემდებარებული მდგომარეობაც. ოჯახის უფროსი და წარმმართველი იყო ქმარი; ცოლს არ ჰქონდა პოლიტიკური უფლებები, მას არ შეეძლო არჩევნებზე ხმის მიცემა, სასამართლოში საქმის აღძვრა და მოწმედ გამოსვლაც კი. წაქეზებული იყო მამაკაცის სექსუალური თავისუფლება, ხოლო ქალს, ღალატის შემთხვევაში, ქმარი აუცილებლად უნდა გაჰყროდა. ასეთ ქალს ეკრძალებოდა რელიგიურ დღესასწაულებსა და კულტმსახურებაში მონაწილეობა. სოლონის კანონები დეტალურად განიხილავდა ქალის ქცევის საკმაოდ მკაცრ წესებს მოგზაურობისას თუ ქუჩაში. ამ ეპოქის საბერძნეთში მიაჩნდათ, რომ დარბაისელი ათენელი ქალი საერთოდაც არ უნდა გამოჩენილიყო საზოგადოებაში.

VIII ამ ფონზე გაოცებას იწვევს ძვ. წ. VI საუკუნის ლირიკული პოეზია. ამ ჟანრის ლექსები მეტად ნატიფი, არისტოკრატულია. თითქოს დავიწყებულია, რა შეჰფერის თუ არ შეჰფერის ქალს. ქალები ღვინისა და სიყვარულისაგან მიღებული სიამოვნებით ტკბებიან, მათი ვნება რაფინირებულია და ლამაზ გარემოში წარმართულ თამაშს ჰგავს. თუმცა სულ სხვაგვარი დამოკიდებულება ჩანს ამავე პერიოდის ე. წ. სამოქალაქო ჟანრის ლექსებში. ქალების სამყარო აქ ქაოსურია, გამუდმებული ბრძოლისა და წინააღმდეგობების ასპარეზია. ბერძნულ ლიტერატურაში სწორედ ამ დროს ფეხს იკიდებს ქალთმოძულეობა – მისოგინია. ამ პერიოდის სამოქალაქო ლექსებში მორალური აქცენტები ქალების მიმართ საკმაოდ მკაცრია.

ტექსტის გაგრძელება ->

IX ძვ. წ. V საუკუნის საბერძნეთში, მხატვრულ ლიტერატურაში, კერძოდ, ბერძენი ტრაგიკოსების შემოქმედებაში თავს იჩენს ქალის სრულიად განსხვავებული ხედვა. მხატვრული აზროვნების ამ ახალ ეტაპზე ყურადღებას იპყრობს ტრაგედიათა ცნობილი ავტორის, სოფოკლეს მიდგომა ქალისადმი. სოფოკლე ქმნის დაუვიწყარ და ლეგენდარულ ქალთა სამყაროს. ცნობილია არისტოტელეს სიტყვები სოფოკლეს შესახებ: „ის ხატავს ადამიანებს ისეთებად, როგორებიც ისინი უნდა იყვნენ“. ამდენად მისი პერსონაჟი ქალები, ისევე, როგორც მამაკაცები, იდეალურები არიან. მან თავის პერსონაჟ ქალებში ჰეროიკული ელემენტი ისევე წარმოადგინა, როგორც მამაკაცებში, და სულიერად და ინტელექტუალურად ქალი მამაკაცს გაუთანაბრა.

X სოფოკლეს გმირი ქალისათვის ოჯახის პატივისცემა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პოლისის წესებისადმი დაქვემდებარება. ის არის მორალურად მტკიცე, მამაცი. მისი გმირები თავს არსებულ კანონებზე მაღლა აყენებენ და მათ სრულიად გაცნობიერებული აქვთ თავიანთი საქციელი. ისინი უპირატესობას ანიჭებენ ღმერთების წინაშე თავიანთი მოვალეობის შესრულებას. ამ მოვალეობას ზედმიწევნით ასრულებს სოფოკლეს გმირი ანტიგონე, რომელსაც მიაჩნია, რომ გარდაცვლილი ძმისადმი მიგებული პატივი – მისი დაკრძალვა – იმავდროულად ღმერთების სამსახურიცაა. ამიტომ ის არღვევს დაწერილ კანონს, რომლის მიხედვით, მას თავისი ძმის დაკრძალვის უფლება არ აქვს. სულიერება, იდეალიზმი, ჰეროიზმი და უკომპრომისობა ის თვისებებია, რომლებიც ანტიგონეს ახასიათებს. ანტიგონე შორს დგას ქალის ტრადიციული გაგებისაგან. ის სიმართლეს იცავს, რომელიც კანონთან არის დაპირისპირებული.

XI ეს დაპირისპირება ჰუმანიზმისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურაში „კულტურის წინააღმდეგ“ ბრძოლის ტერმინით არის ცნობილი. ის გულისხმობს არა მხოლოდ ქალის დაქვემდებარებული სტატუსის წინააღმდეგ ამბოხს, არამედ ჩამორჩენილი აზრისა თუ მოძველებული ტრადიციების წინააღმდეგ ყველანაირ ბრძოლას კაცობრიობის წინსვლისა და განვითარების საკეთილდღეოდ.

11. **რა არის ავტორის მთავარი მიზანი?**

(ა) წარმოაჩინოს ქალის იურიდიული სტატუსის ჩამოყალიბების პროცესი ძველ საბერძნეთში.

(ბ) გაგვაცნოს ძველი ბერძენი ტრაგიკოსის – სოფოკლეს ხედვა ქალის დანიშნულების შესახებ ბერძნულ საზოგადოებაში.

(გ) გამოკვეთოს ქალისა და ოჯახის მნიშვნელობა ბერძნული საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

(დ) წარმოაჩინოს ძველბერძნულ საზოგადოებაში ქალის ადგილი და როლი მხატვრულ ნაწარმოებებში დადასტურებული ინფორმაციის მიხედვით.

(ე) ხაზი გაუსვას ქალის დაქვემდებარებულ როლს ბერძნულ საზოგადოებაში.

| | | |

12. ტექსტის მიხედვით, ქალისა და ოჯახის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელია მართებული?

(ა) ძვ. წ. VII საუკუნეში ქალისადმი დამოკიდებულება, ოჯახში მისი ფუნქციის გაზრდის გამო, უფრო ლმობიერი გახდა, ვიდრე ძვ. წ. VIII საუკუნეში იყო.

(ბ) ძვ. წ. VII საუკუნეში ქალები დიდი პრივილეგიით სარგებლობდნენ, რადგან მათ მიერ მემკვიდრის გაჩენაზე იყო დამოკიდებული კუთვნილი მიწის შენარჩუნება.

(გ) ძვ. წ. VII საუკუნეში, ძვ. წ. VIII საუკუნესთან შედარებით, თვალსაჩინოდ გამოიკვეთა ქალის როლი ოჯახში.

(დ) ძველ საბერძნეთში „დიდი ოჯახები“ უფრო მეტი სიმყარით გამოირჩეოდნენ, ვიდრე „პატარა ოჯახები“.

(ე) ინფორმაცია ძველი საბერძნეთის „დიდი“ და „პატარა“ ოჯახების შესახებ, ძირითადად, ისტორიული წყაროებიდან მომდინარეობს.

13. ლირიკული და სამოქალაქო პოეზიის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელია მართებული?

(ა) ძვ. წ. VI საუკუნის ლირიკულ პოეზიას, სამოქალაქო პოეზიასა და სოლონის რეფორმებს შორის ქალთა მიმართ დამოკიდებულების თვალსაზრისით დიდი მსგავსება იკვეთება.

(ბ) სამოქალაქო პოეზიაში მძაფრად არის ასახული ბერძენთა ტრადიციული დამოკიდებულების ნიშნები ქალთა მიმართ, ხოლო ლირიკული პოეზია ერთგვარი გადახვევაა ტრადიციული ხედვიდან.

(გ) სამოქალაქო და ლირიკული პოეზიის ნიმუშებიდან ჩანს, რომ ბერძენთა დამოკიდებულება ქალებისადმი არ იყო ერთგვაროვანი საზოგადოების სხვადასხვა ფენაში.

(დ) ანტიკურ საბერძნეთში უფრო დიდ ინტერესს იწვევდა ლირიკული პოეზია, ხოლო სამოქალაქო პოეტები პოპულარობით არ სარგებლობდნენ.

(ე) როგორც ლირიკული, ისე სამოქალაქო პოეზიის მთავარი თემა იყო ქალთა სოციალური მდგომარეობა საზოგადოებაში.

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	№2	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42

14. რა ედო საფუძვლად ძველ ბერძენთა უარყოფით დამოკიდებულებას ქალების მიმართ?

(ა) ძველი ბერძნები სოლონის რეფორმების გავლენას განიცდიდნენ.

(ბ) ძველ ბერძნებზე ზეგავლენას ახდენდა მხატვრულ ნაწარმოებებში დამკვიდრებული უარყოფითი აზრი ქალების შესახებ.

(გ) ოჯახში ქალისა და მამაკაცის როლების გამოკვეთის გამო ქალებმა თავი ვერ გაართვეს თავიანთ მოვალეობებს.

(დ) ქალის შესახებ ბერძენთა წარმოდგენებზე გავლენა მოახდინა ლიტერატურაში მისოგინური ტენდენციის გაჩენამ.

(ე) ძველი ბერძნები დაბალი წარმოდგენისა იყვნენ ქალების ბუნებრივი შესაძლებლობებისა და უნარების შესახებ.

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	№2	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42

15. ტექსტის მიხედვით, რატომ არიან სოფოკლეს გმირი ქალები ისეთივე დადებითი თვისებების მატარებლები, როგორც მამაკაცები?

(ა) სოფოკლე „ხატავდა ადამიანებს ისეთებად, როგორებიც ისინი უნდა ყოფილიყვნენ“.

(ბ) სოფოკლეს ეპოქაში ქალები გამოირჩეოდნენ დადებითი თვისებებით.

(გ) სოფოკლეს მიზნად ჰქონდა დასახული ათენელი მაყურებლის გაღიზიანება.

(დ) სოფოკლეს არ მოსწონდა ქალებთან დაკავშირებული კანონები და უნდოდა, თავისი პერსონაჟებით მათ დაპირისპირებოდა.

(ე) სოფოკლე ზოგადად კეთილგანწყობილი იყო ქალების მიმართ.

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	№2	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42

16. ჩამოთვლილთაგან რომელ აბზაცს ეხმაურება საზოგადოებაში ქალის როლის სოფოკლესეული ხედვა?

(ა) II-ს

(ბ) III-ს

(გ) IV-ს

(დ) V-ს

(ე) VI-ს

| | | |

17. რა შედეგი მოჰყვა ბერძნულ საზოგადოებაში „დიდი ოჯახების“ ჩანაცვლებას „პატარა ოჯახებით“?

(ა) მკაფიოდ განისაზღვრა ოჯახის წევრთა ფუნქციები.

(ბ) მამაკაცს აეკრძალა საყვარლის ყოლა.

(გ) სუსტ და უმწეო ქალებს გაუჭირდათ საოჯახო საქმეების გაძღოლა.

(დ) განსაკუთრებით გამოიკვეთა ქალის ხასიათის მანკიერი შტრიხები.

(ე) ოჯახებს გაუჩნდათ მეტი შემოსავალი.

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	№2	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42

18. სოლონის კანონების მიხედვით:

I. ქალებისათვის დადგინდა მოგზაურობისას თუ ქუჩაში ქცევის საკმაოდ მკაცრი წესები.
II. ქალებს არ შეეძლოთ არჩევნებზე ხმის მიცემა, სასამართლოში საქმის აღძვრა და მოწმედ გამოსვლა.
III. ქალებს აეკრძალათ რელიგიურ დღესასწაულებსა და კულტმსახურებაში მონაწილეობის მიღება.
IV. დაკანონდა ქალის დაქვემდებარებული მდგომარეობა ოჯახში.

ამათგან მართებულია:

(ა) მხოლოდ I, II.

(ბ) მხოლოდ I, II, III.

(გ) მხოლოდ I, II, IV.

(დ) მხოლოდ I, III, IV.

(ე) თითოეული.

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	№2	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42

19. გამოთქმული მოსაზრებებიდან რომელია მართებული?

(ა) ძვ. წ. VI საუკუნის ბერძენი პოეტები ქალთა უფლებების მიმართ ლოიალურად იყვნენ განწყობილნი.

(ბ) ძვ. წ. VI საუკუნის პოეზიაში ქალის სხვადასხვაგვარად წარმოდგენა ჟანრული სპეციფიკით იყო განპირობებული.

(გ) ძვ. წ. VI საუკუნეში მისოგინიამ მთლიანად მოიცვა ბერძნული პოეზია.

(დ) ძვ. წ. VI საუკუნის პოეზიაში დამოკიდებულება სიყვარულის მიმართ ერთნაირია.

(ე) ძვ. წ. VI საუკუნის პოეზიაში არისტოკრატიისა და დაბალი ფენის წარმომადგენელი პოეტები ქალს სხვადასხვაგვარად წარმოაჩენენ.

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	№2	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42

20. ტექსტის მიხედვით, რა არის სოფოკლეს მთავარი სათქმელი ანტიგონეს პერსონაჟის შექმნით?

(ა) ადამიანი ვალდებულია განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ჰქონდეს ოჯახის წევრების მიმართ.

(ბ) მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, ქალი არ შეიძლება იყოს ისეთივე იდეალური, როგორიც მამაკაცია.

(გ) ტრაგედიის ქალ პერსონაჟებს უნდა ახასიათებდეთ სულიერება, იდეალიზმი, ჰეროიზმი, მაქსიმალიზმი და უკომპრომისობა.

(დ) ყველა ტრაგედია „კულტურის წინააღმდეგ“ ბრძოლის იდეას უნდა ემსახურებოდეს.

(ე) შესაძლებელია უღალატო დაწერილ კანონებს, როდესაც ისინი ეწინააღმდეგება ჭეშმარიტ, ღმერთების მიერ დადგენილ წესებს.

| | | |

21. ტექსტის ბოლო აბზაცში:

(ა) კრიტიკულად არის განხილული ტექსტში დასმული მთავარი საკითხი.

(ბ) წარმოდგენილია ავტორისეული დამოკიდებულება ტექსტში დასმული მთავარი საკითხის მიმართ.

(გ) განზოგადებულია წინა აბზაცში დასმული საკითხი.

(დ) გამოტანილია დასკვნა ტექსტში დასმულ მთავარ საკითხთან დაკავშირებით.

(ე) მოყვანილია არგუმენტი წინა აბზაცში დასმულ საკითხთან დაკავშირებით.

ლოგიკური მსჯელობა

14 ამოცანა

| | | |

22. დავუშვათ მართალია, რომ:

- ყოველი ადამიანი, ვინც რეგულარულად დარბის და რეგულარულად ცურავს, ფიზიკურად ძლიერია.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი იქნება მაშინ აუცილებლად **ჭეშმარიტი**?

(ა) ყველა, ვინც რეგულარულად დარბის, ფიზიკურად ძლიერია.

(ბ) ვინც რეგულარულად ცურავს, ფიზიკურად ძლიერია.

(გ) ყველა, ვინც ფიზიკურად ძლიერია და რეგულარულად ცურავს, რეგულარულად დარბის.

(დ) ადამიანი, რომელიც არ არის ფიზიკურად ძლიერი, მაგრამ რეგულარულად დარბის, არ ცურავს რეგულარულად.

(ე) თუ ადამიანი არ ცურავს რეგულარულად, ის არ არის ფიზიკურად ძლიერი.

23. ცნობილია, რომ:

აუდიტორულ ფირმაში ზოგიერთი აუდიტორი დისტანციურად მუშაობს. რადგან ყველა უფროსი აუდიტორი ესწრება ყოველწლიურ კონფერენციას, მენეჯერმა დაასკვნა, რომ დისტანციურად მომუშავე არცერთი აუდიტორი არ არის უფროსი აუდიტორი.

ჩამოთვლილთაგან რომლის ჭეშმარიტობის შემთხვევაში იქნება მენეჯერის დასკვნა სწორი?

(ა) დისტანციურად მომუშავე არცერთი აუდიტორი არ ესწრება ყოველწლიურ კონფერენციას.

(ბ) თითოეულ უფროს აუდიტორს აქვს ვალდებულება, დაესწროს ყოველწლიურ კონფერენციას.

(გ) ზოგიერთი აუდიტორი, რომელიც არ მუშაობს დისტანციურად, არ არის უფროსი აუდიტორი.

(დ) თითოეული აუდიტორი, რომელიც დისტანციურად არ მუშაობს, არის უფროსი აუდიტორი.

(ე) ყოველწლიურ კონფერენციას მხოლოდ უფროსი აუდიტორები ესწრებიან.

| | | |

24. კვლევაში ერთმანეთს შეადარეს მოსწავლეთა ორი ჯგუფი: პირველ ჯგუფს მათემატიკას ასწავლიდნენ ახალი მეთოდით, ხოლო მეორე ჯგუფს – ტრადიციული მეთოდით. ორივე ჯგუფის მოსწავლეებმა მათემატიკის ტესტში ერთნაირად მაღალი შედეგები აჩვენეს. უნდა დავასკვნათ, რომ ახალ მეთოდს ძველთან შედარებით უპირატესობა არ გააჩნია.

ჩამოთვლილთაგან რომელი დააყენებს უფრო მეტად **ეჭვქვეშ** მოცემული დასკვნის მართებულობას?

(ა) მათემატიკის მასწავლებლები ორივე მეთოდს თანაბრად ეფექტიანად მიიჩნევენ.

(ბ) მათემატიკის ტესტებში მაღალი შედეგების მიღწევა ყველა მოსწავლისთვის ერთნაირად რთული არ არის.

(გ) მეორე ჯგუფის მოსწავლეთა ნაწილი უკვე იცნობდა ახალი მეთოდის ცალკეულ ელემენტებს.

(დ) სწავლის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ ჩატარებული ტესტირებების მიხედვით, მეორე ჯგუფის შედეგები უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე პირველი ჯგუფის შედეგები.

(ე) მეორე ჯგუფის მოსწავლეები ხშირად მეცადინეობდნენ პირველი ჯგუფის მოსწავლეებთან ერთად და მათგან ისწავლეს ახალი მეთოდის ხერხები.

| | | |

25. მეყვავილის განკარგულებაშია: **ვარდები, ტიტები, ორქიდეები, ზამბახები, გვირილები** და **ნარცისები**. ამასთან, **თითოეული ვარდი და თითოეული ტიტა წითელია, სხვა არცერთი ყვავილი კი არ არის წითელი**.

ამ ყვავილებიდან მან უნდა შეადგინოს თაიგული შემდეგი წესების დაცვით:

- თუ თაიგულში იქნება ორქიდეა, მაშინ აუცილებლად უნდა იყოს წითელი ყვავილი და ასევე ზამბახი.
- თუ თაიგულში იქნება ზამბახი, მაშინ არ უნდა იყოს ვარდი.

თუ თაიგულში **არ არის ტიტა**, ჩამოთვლილთაგან რომელია **აუცილებლად ჭეშმარიტი**?

(ა) თაიგულში არ არის ორქიდეა.

(ბ) თაიგულში არის ვარდი.

(გ) თაიგულში არ არის ზამბახი.

(დ) თაიგულში არის გვირილა.

(ე) თაიგულში არ არის ნარცისი.

26. მანანამ მალხაზსა და ზვიადს პირდაპირ არ უთხრა, თუ როდის არის მისი დაბადების დღე. სანაცვლოდ, მათ მისცა 10 შესაძლო ვარიანტი, რომელთა შორის იყო სწორი თარიღიც:

5 აპრილი	17 ივლისი	8 სექტემბერი	5 დეკემბერი
16 აპრილი	19 ივლისი	16 სექტემბერი	8 დეკემბერი
24 აპრილი			17 დეკემბერი

ამასთან, მან **მალხაზს გაუმხილა მხოლოდ თვე, ხოლო ზვიადს – მხოლოდ რიცხვი** (ეს ფაქტი ორივესთვის ცნობილია).

მათ შორის შემდეგი საუბარი გაიმართა:

მალხაზი: *ზვიადი ვერ იტყვის ზუსტად, როდის არის მანანას დაბადების დღე.*
ზვიადი: *არ ვიცოდი, მაგრამ შენი ნათქვამის შემდეგ უკვე ვიცი.*
მალხაზი: *მაშინ ახლა უკვე მეც ვიცი, როდის არის მანანას დაბადების დღე.*

როდის არის მანანას დაბადების დღე?

(ა) 24 აპრილს

(ბ) 17 ივლისს

(გ) 16 სექტემბერს

(დ) 5 დეკემბერს

(ე) 17 დეკემბერს

შენიშვნა: *ცხადია იგულისხმება, რომ ყველანი ლოგიკურად მსჯელობენ და არ იტყუებიან.*

| | | |

ამოცანები 27-28 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

ერთმანეთის გვერდით ჩამწკრივებულ შვიდ ყუთში ვაშლები აწყვია. ყუთები დანომრილია ისე, როგორც ეს სურათზეა გამოსახული (უკიდურესი მარცხენა ყუთის ნომერია 1).

ცნობილია, რომ:

- თუ რომელიმე ორი ყუთის წონა ერთმანეთის ტოლია, მაშინ ამ ორ ყუთში სხვადასხვა რაოდენობის ვაშლი აწყვია.
- სხვადასხვა წონის ყოველი ორი ყუთიდან უფრო მარცხნივ ის ყუთი დევს, რომლის წონაც უფრო ნაკლებია.
- ერთნაირი წონის ორი ყუთიდან უფრო მარცხნივ ის ყუთი დევს, რომელშიც ვაშლების რაოდენობა უფრო ნაკლებია.

შენიშვნა: ყუთის წონაში იგულისხმება საკუთრივ ყუთისა და მასში მოთავსებული ყველა ვაშლის წონათა ჯამი.

| | | |

27. ჩამოთვლილთაგან, რომელი **შეიძლება იყოს ჭეშმარიტი**?

I. №1 ყუთის წონა დანარჩენი ყუთებიდან თითოეულის წონაზე ნაკლებია.
II. ყველაზე მეტი რაოდენობის ვაშლი №4 ყუთშია.
III. შვიდივე ყუთში ვაშლების რაოდენობა თანაბარია.

(ა) მხოლოდ I

(ბ) მხოლოდ III

(გ) მხოლოდ I და III

(დ) მხოლოდ II და III

(ე) თითოეული

| | | |

28. ჩამოთვლილთაგან რომელ შემთხვევაშია შესაძლებელი **ცალსახად** დადგინდეს, თუ რომელ ყუთშია ვაშლების რაოდენობა ყველაზე მეტი?

(ა) №4 ყუთის წონა №1 და №7 ყუთების წონათა ჯამის ნახევრის ტოლია.

(ბ) №1 და №7 ყუთების წონები ერთმანეთის ტოლია.

(გ) №2, №3, №4, №5 და №6 ყუთების წონები ერთმანეთის ტოლია.

(დ) №1 ყუთში უფრო ნაკლები რაოდენობის ვაშლია, ვიდრე №6 ყუთში.

(ე) ყოველი ორი ყუთის წონა ერთმანეთისაგან განსხვავებულია.

ამოცანები 29-31 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

კოტე ფაილებს მხოლოდ მეხსიერების სამ ბარათზე ინახავს. პატარა ბარათი არის 3 გბ მოცულობის, საშუალო – 4 გბ, დიდი კი – 8 გბ და თითოეული შევსებულია ფაილებით.

- თითოეულ ბარათზე ან ყველა ფაილი ფოტოა, ან ყველა ფაილი ვიდეოა.
- თითოეულ ბარათზე ან ყველა ფაილი პირადია, ან ყველა სამსახურებრივია.
- თითოეულ ბარათზე ან ყველა ფაილი ორიგინალია, ან ყველა რედაქტირებულია.
- კოტე არ ინახავს არცერთ ორიგინალ, სამსახურებრივ ფაილს.
- კოტე არ ინახავს არცერთ სამსახურებრივ ფოტოს.
- რედაქტირებული ფაილების ჯამური მოცულობა მეტია ორიგინალი ფაილების ჯამურ მოცულობაზე.
- დიდ ბარათზე ვიდეოებია, ხოლო პატარაზე – ფოტოები.
- თუ დიდ ბარათზე პირადი ფაილებია, მაშინ საშუალო ბარათზე სამსახურებრივი ფაილებია.

29. ბარათებზე ფაილების განაწილების რომელი შემთხვევაა **შესაძლებელი** ჩამოთვლილთაგან?

	პატარა	საშუალო	დიდი
(ა)	სამსახურებრივი, რედაქტირებული ფოტოები	პირადი, ორიგინალი ფოტოები	სამსახურებრივი, რედაქტირებული ვიდეოები
(ბ)	პირადი, რედაქტირებული ფოტოები	სამსახურებრივი, რედაქტირებული ვიდეოები	პირადი, ორიგინალი ვიდეოები
(გ)	პირადი, ორიგინალი ფოტოები	სამსახურებრივი, რედაქტირებული ვიდეოები	სამსახურებრივი, რედაქტირებული ვიდეოები
(დ)	პირადი, რედაქტირებული ფოტოები	პირადი, ორიგინალი ვიდეოები	პირადი, რედაქტირებული ვიდეოები
(ე)	პირადი, რედაქტირებული ფოტოები	სამსახურებრივი, ორიგინალი ვიდეოები	პირადი, რედაქტირებული ვიდეოები

| | | |

30. თუ **რედაქტირებული ფაილები მხოლოდ ერთ ბარათზეა**, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება <u>**არ**</u> შესრულდეს?

(ა) საშუალო ბარათზე ორიგინალი ფაილებია.

(ბ) საშუალო ბარათზე ვიდეოებია.

(გ) დიდ ბარათზე სამსახურებრივი ფაილებია.

(დ) პატარა ბარათზე პირადი ფაილებია.

(ე) საშუალო ბარათზე პირადი ფაილებია.

31. თუ კოტე **ერთ ორიგინალ ვიდეოს მაინც ინახავს**, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელი **შეიძლება** იყოს მცდარი?

(ა) კოტე 12 გბ მოცულობის ვიდეოებს ინახავს.

(ბ) კოტე 7 გბ მოცულობის პირად ფაილებს ინახავს.

(გ) კოტე 8 გბ მოცულობის რედაქტირებულ, სამსახურებრივ ფაილებს ინახავს.

(დ) კოტე 3 გბ მოცულობის პირად ფოტოებს ინახავს.

(ე) კოტე 4 გბ მოცულობის ორიგინალ, პირად ფაილებს ინახავს.

<u>ამოცანები 32-35 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:</u>

ოთხი სტუდენტი: **ანა, ბექა, გიო** და **დეა**, ყველა სხვადასხვა ქალაქში ცხოვრობს. ეს ქალაქებია: **თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი**. თითოეული სტუდენტი სწავლობს თითო საგანს შემდეგი ოთხეულიდან: **ფიზიკა, მათემატიკა, ფილოსოფია, ბიოლოგია**.

მათ შესახებ ცნობილია, რომ:

- ანა **არ** ცხოვრობს თბილისში.
- ვინც ცხოვრობს ბათუმში, სწავლობს მათემატიკას.
- გიო სწავლობს ფილოსოფიას.
- დეა ცხოვრობს რუსთავში.
- ვინც სწავლობს ფიზიკას, **არ** ცხოვრობს ქუთაისში.

| | | |

32. ჩამოთვლილთაგან რომელი შესაბამისობაა შესაძლებელი?

(ა)

ანა	ბათუმი	ბიოლოგია
ბექა	თბილისი	ფიზიკა
გიო	ქუთაისი	ფილოსოფია
დეა	რუსთავი	მათემატიკა

(ბ)

ანა	ქუთაისი	ფილოსოფია
ბექა	ბათუმი	მათემატიკა
გიო	თბილისი	ფიზიკა
დეა	რუსთავი	ბიოლოგია

(გ)

ანა	ქუთაისი	ფიზიკა
ბექა	ბათუმი	მათემატიკა
გიო	თბილისი	ფილოსოფია
დეა	რუსთავი	ბიოლოგია

(დ)

ანა	ქუთაისი	ბიოლოგია
ბექა	ბათუმი	მათემატიკა
გიო	თბილისი	ფილოსოფია
დეა	რუსთავი	ფიზიკა

(ე)

ანა	თბილისი	ფიზიკა
ბექა	ბათუმი	მათემატიკა
გიო	ქუთაისი	ფილოსოფია
დეა	რუსთავი	ბიოლოგია

| | | |

33. თუ **ბექა ცხოვრობს თბილისში**, ჩამოთვლილთაგან რომელია **აუცილებლად ჭეშმარიტი**?

(ა) გიო ცხოვრობს ბათუმში.

(ბ) ანა სწავლობს მათემატიკას.

(გ) დეა სწავლობს ფიზიკას.

(დ) ბექა სწავლობს ბიოლოგიას.

(ე) ბიოლოგიას არ სწავლობს დეა.

34. შემდეგი წინადადებებიდან რომელი **შეიძლება იყოს მცდარი**?

(ა) თუ გიო ცხოვრობს ქუთაისში, მაშინ ბექა ცხოვრობს თბილისში.

(ბ) თუ ბექა არ ცხოვრობს ბათუმში, მაშინ ანა ცხოვრობს ბათუმში.

(გ) თუ გიო ცხოვრობს ქუთაისში, მაშინ დეა სწავლობს ბიოლოგიას.

(დ) თუ დეა სწავლობს ბიოლოგიას, მაშინ ანა ცხოვრობს ბათუმში.

(ე) თუ თბილისში მცხოვრები სწავლობს ფიზიკას, მაშინ რუსთავში მცხოვრები სწავლობს ბიოლოგიას.

35. რომელი პირობაა **საკმარისი** იმის დასადგენად, თუ რომელ ქალაქში ცხოვრობს და რომელ საგანს სწავლობს თითოეული სტუდენტი?

(ა) ანა სწავლობს მათემატიკას.

(ბ) ვინც ცხოვრობს ქუთაისში, სწავლობს ფილოსოფიას.

(გ) დეა სწავლობს ფიზიკას.

(დ) დეა სწავლობს ბიოლოგიას.

(ე) ვინც ცხოვრობს თბილისში, სწავლობს ფილოსოფიას.

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	№2	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42

რაოდენობრივი მსჯელობა

7 ამოცანა

| | | |

36. მოცემულია მართკუთხა ABCD ტრაპეცია (იხ. ნახაზი), რომლის უმოკლესი ფერდია AB. ტრაპეციის მცირე BC ფუძის სიგრძე 9 სმ-ია, CD ფერდის სიგრძეა 20 სმ, ხოლო AC დიაგონალის სიგრძე 15 სმ-ის ტოლია. იპოვეთ AD ფუძის სიგრძე.



(ა) 20 სმ

(ბ) 21 სმ

(გ) 24 სმ

(დ) 25 სმ

(ე) 26 სმ

| | | |

37. 12 კანდიდატიდან უნდა შეარჩიონ საჰაერო ხომალდის 3-წევრიანი ეკიპაჟი: ხომალდის კაპიტანი, მეორე პილოტი და ბორტინჟინერი. თითოეულ კანდიდატს შეუძლია შეასრულოს როგორც ხომალდის კაპიტნის, ისე მეორე პილოტის და ასევე ბორტინჟინრის მოვალეობა.

ასეთი შერჩევის სულ რამდენი განსხვავებული ვარიანტი არსებობს?

<u>შენიშვნა</u>. ორი ეკიპაჟი განსხვავდება მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა სრულდება ერთი მაინც ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- ეკიპაჟების კაპიტნები სხვადასხვა პიროვნებებია.
- ეკიპაჟების მეორე პილოტები სხვადასხვა პიროვნებებია.
- ეკიპაჟების ბორტინჟინრები სხვადასხვა პიროვნებებია.

(ა) 6

(ბ) 36

(გ) 144

(დ) 432

(ე) 1320

| | | |

38. 4 სმ რადიუსის მქონე ბირთვი მართკუთხა პარალელეპიპედის A წვეროს მიმდებარე 3 წახნაგს ეხება. იპოვეთ მანძილი ბირთვის ცენტრიდან A წერტილამდე.



(ა) $3\sqrt{2}$ სმ

(ბ) 6 სმ

(გ) $4\sqrt{3}$ სმ

(დ) 8 სმ

(ე) $4\sqrt{5}$ სმ

| | | |

39. M და N წერტილები ABCD მართკუთხედის, შესაბამისად, AD და BC გვერდების შუაწერტილებია. დროის 0 მომენტში M წერტილიდან მოძრაობა დაიწყო P წერტილმა, რომელმაც გარკვეული დროის განმავლობაში იმოძრავა MDCN ტეხილზე ისრებით ნაჩვენები მიმართულებებით და მოძრაობა დაასრულა N წერტილში მისვლისთანავე (იხ. ნახაზი I).



ნახაზი I

ქვემოთ მოცემული ხუთი – 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 – ნახაზიდან მხოლოდ ერთზეა სწორად გამოსახული P წერტილის მოძრაობის ამ პროცესში PAB სამკუთხედის ფართობის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი. რომელია ეს ნახაზი?



ნახაზი 1



ნახაზი 2



ნახაზი 3



ნახაზი 4



ნახაზი 5

(ა) ნახაზი 1 (ბ) ნახაზი 2 (გ) ნახაზი 3 (დ) ნახაზი 4 (ე) ნახაზი 5

| | | |

40. ოლიმპიური გუნდი შედგება ქალი და მამაკაცი სპორტსმენებისაგან. მათ შესახებ ცნობილია, რომ:

- მამაკაც სპორტსმენთა რაოდენობა 1-ით მეტია ქალ სპორტსმენთა რაოდენობაზე.
- გუნდში 40-ზე მეტი და 50-ზე ნაკლები სპორტსმენია.

გუნდის წევრ სპორტსმენთა შესახებ განვიხილოთ შემდეგი ორი პირობა:

I. ყველა სპორტსმენი შესაძლებელია გადანაწილდეს ავტომობილებში ისე, რომ თითოეულ ავტომობილში ზუსტად 3 სპორტსმენი აღმოჩნდეს.

II. ყველა სპორტსმენი შესაძლებელია გადანაწილდეს ავტომობილებში ისე, რომ თითოეულ ავტომობილში ზუსტად 5 სპორტსმენი აღმოჩნდეს.

იმისათვის, რომ დავადგინოთ, სულ რამდენი სპორტსმენია აღნიშნულ ოლიმპიურ გუნდში,

(ა) საკმარისია **I პირობა**, ხოლო II პირობა **არ არის** საკმარისი.

(ბ) საკმარისია **II პირობა**, ხოლო I პირობა **არ არის** საკმარისი.

(გ) საკმარისია I და II პირობა **ერთად**, მაგრამ ცალ-ცალკე **არცერთი** არ არის საკმარისი.

(დ) საკმარისია **თითოეული** პირობა **ცალ-ცალკე**.

(ე) ორივე პირობა ერთად არ არის საკმარისი, **საჭიროა დამატებითი პირობები**.

41. მოცემულია წინადადება, რომელშიც გამოტოვებულია ორი ფრაგმენტი:

„თუ მუდმივი სიჩქარით მოძრავი მატარებელი ყოველ საათში გაივლის მთელი გზის --I---, მაშინ ის მთელი გზის გავლას --II-- მოანდომებს.“

ფრაგმენტთა შემდეგი ორი სვეტიდან:

I სვეტი	II სვეტი
A. $\frac{4}{31}$ ნაწილზე ნაკლებს	M. 7 საათზე მეტ დროს
B. $\frac{4}{31}$ ნაწილზე მეტს	N. 7 საათზე ნაკლებ დროს
	K. ზუსტად 7 საათს

აარჩიეთ თითო ფრაგმენტი და ჩასვით ისინი შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში ისე, რომ მიღებული წინადადება ჭეშმარიტი აღმოჩნდეს.

(ა) A → M (ბ) A → N (გ) A → K (დ) B → M (ე) B → N

| | | |

42. OXY მართკუთხა კოორდინატთა სისტემაში A და B წერტილების კოორდინატებია $(x_1; y_1)$ და $(x_2; y_2)$.

ქვემოთ მოცემული ოთხი – I, II, III, IV – პირობიდან რომელი ორია საკმარისი იმის დასადგენად, თუ რამდენი ერთეულის ტოლია AB მონაკვეთის სიგრძე?

I. $y_1 - y_2 = -4$

II. $x_2 = x_1 + 3$

III. $y_2 = 2 - y_1$

IV. $x_2 + x_1 = 5$



(ა) I და II

(ბ) I და III

(გ) I და IV

(დ) II და III

(ე) III და IV

| | | |

ტესტის დასასრული

წაკითხულის გააზრება

ლოგიკური მსჯელობა

რაოდენობრივი მსჯელობა

| | | |